www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მშენებლობის ღირებულების ინდექსი საქართველოში

2024 წლის აპრილი

06.06.2024
www.geostat.ge

06.06.2024

მშენებლობის ღირებულების ინდექსი საქართველოში

2024 წლის აპრილი

2024 წლის აპრილში მშენებლობის ღირებულების ინდექსი **წინა თვესთან შედარებით** 0.6 პროცენტით გაიზარდა. აღნიშნული ცვლილება, ძირითადად, განპირობებული იყო სამშენებლო მასალებზე ფასების 0.5 პროცენტიანი ზრდით, რამაც 0.28 პროცენტული პუნქტი შეიტანა ჯამური ინდექსის ცვლილებაში.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით მშენებლობის ღირებულების ინდექსი გაიზარდა 10.8 პროცენტით. ინდექსის ზრდა, უმეტესწილად, გამოწვეული იყო მშენებლობის დარგში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის 37.0 პროცენტიანი ზრდით და სამშენებლო მასალების 4.5 პროცენტიანი გაძვირებით, რამაც შესაბამისად, 7.21 და 2.72 პროცენტული პუნქტი შეიტანა ჯამური ინდექსის ცვლილებაში. ამასთან, **2022 წლის თებერვალთან შედარებით** მშენებლობის ღირებულების ინდექსი გაიზარდა 16.9 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2024 წლის აპრილში მშენებლობის ღირებულების ინდექსები (წინა თვესთან და წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით) და მის ფორმირებაში მონაწილე ხარჯების კატეგორიების შესაბამისი წვლილები.

ხარჯების კატეგორიები	2024 წლის მარტთან	წვლილი* თვის ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში	2023 წლის აპრილთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
ჯამური CCI	**100.6**	**0.55**	**110.8**	**10.79**
სამშენებლო მასალები	100.5	0.28	104.5	2.72
ხელფასები	101.7	0.22	137.0	7.21
მანქანა-დანადგარები	100.0	0.00	105.5	0.20
ტრანსპორტირება, საწვავი, ელექტროენერგია	99.9	0.03	107.0	0.56
სხვა ხარჯები	100.3	0.02	101.5	0.10

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

06.06.2024

მშენებლობის ღირებულების ინდექსის ცვლილება, %
(წინა თვესთან შედარებით)



მშენებლობის ღირებულების ინდექსის ცვლილება, %
(წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით)



06.06.2024

მშენებლობის ღირებულების ინდექსის ცვლილება, %
(2022 წლის თებერვალთან შედარებით)



საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული, ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). E-mail: gtetrauli@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge